



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

“ეკონომიკა”

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ): 20.06.2022-21.06.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი: 12.08.2022

თბილისი
2022

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ეკონომიკა Economics
უმაღლესი განათლების საფეხური	III (დოქტორანტურა)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ეკონომიკის დოქტორი / PhD in Economics
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	0311 ეკონომიკა / Economics
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	55 კრედიტი (სასწავლო კომპონენტი)
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მანანა ლობჯანიძე (თავმჯდომარე) სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა გეგეშიძე საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე მიქელაძე დამსაქმებელი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ზურაბ ჯანხოთელი შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის შეფასების მიზანი: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრების, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საჭიროებებზე დაფუძნებული განმავითარებელი და მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვის ხელშეწყობის მიზნით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს (შემდგომში - ექსპერტთა ჯგუფი) დაევალა შეაფასოს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - დაწესებულება) მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოდგენილი „ეკონომიკის“ სადოქტორო პროგრამა, თვითშეფასების ანგარიში და მასზე თანდართული დოკუმენტაცია და პროგრამასთან დაკავშირებული გარემოებები უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებით.

პროგრამა შედგენილია დაწესებულებაში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის - EP-QA“ შესაბამისად. პროგრამის ძირითადი მახასიათებლებია:

- პროგრამის ხანგრძლივობა: არანაკლებ 3 წელი;
- სწავლების ენა: ქართული;
- პროგრამის სტრუქტურა: 1) სასწავლო კომპონენტი - 55 ECTS-ის კრედიტი (მათ შორის, სავალდებულო და არჩევითი კომპონენტები); 2) სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა (შემდგომში - ექსპერტთა ჯგუფი) სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2022 წლის №MES 3 21 0000865583 (06/09/2021) ბრძანების შესაბამისად 2022 წლის 20-21 ივნისს

განახორციელა ვიზიტი სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - დაწესებულება) „ეკონომიკის“ ქართულენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) შეფასების მიზნით.

- ვიზიტამდე შედგა 2022 წლის 16 ივნისს ექსპერტთა ჯგუფის წინამოსამზადებელი შეხვედრა ონლაინ რეჟიმში. განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და სტანდარტების კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
- 2022 წლის 20-21 ივნისს ვიზიტის ფარგლებში წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის დღის წესრიგის მიხედვით, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროგრამის განმახორციელებლებთან, ვიზიტის დღის წესრიგით გათვალისწინებულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (რექტორი, რექტორის მოადგილე, კანცლერი, დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები), თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე, ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. სამუშაო შეხვედრები მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით. ვიზიტის დასასრულს, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი მიგნებები.

• **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სსიპ - სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი „ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა:

- **პირველი სტანდარტი** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან სტანდარტის 1.1 და 1.2 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- **მეორე სტანდარტი** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან კომპონენტები 2.1, 2.2, 2.3, 2.4, 2.5 და 2.6 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- **მესამე სტანდარტი** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან 3.1 და 3.2 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- **მეოთხე სტანდარტი** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან 4.1, 4.2, 4.3 და 4.4 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- **მეხუთე სტანდარტი** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან სტანდარტის 5.1, 5.2 და 5.3 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

▪ **რეკომენდაციები**

-

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
 - სასურველია, გამოცდის სირთულიდან გამომდინარე, პროგრამაზე ჩარიცხვის საშუალება მიეცეს მას, რომელსაც არ აქვს ბიზნესის ადმინისტრირების ან ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი და ასევე მიღების ზღვარი დაიწიოს 71%-დან 61%-მდე.
 - პროგრამის მდგრადობის უკეთ წარმოსაჩენად, შეიმუშავეთ სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტის ფორმირების პოლიტიკა და პროცედურები, სადაც გაითვალისწინებთ პროგრამის სოციალური უკუგება ინვესტიციებზე (SROI) და შემოსავლებში, გარდა სწავლის ქირისა გათვალისწინებული იქნება ფაკულტეტის მთლიანი შემოსავლის პროცენტული წილი.
 - სასურველია, პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს როგორც საქართველოს უსდ-ს, ისე უცხოეთის უსდ-ს - პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენლ(ებ)ის მიერ, რაც ხელს შეუწყობს თანამედროვე ტენდენციების და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
 - საუკეთესო პრაქტიკად მიგვაჩნია უსდ-ში დანერგილი და განთავსებული განცხადებებისთვის განკუთვნილი თვითმომსახურების ტერმინალები სტუდენტებისთვის.
 - სტუდენტებისთვის მიცემული შესაძლებლობა ისარგებლონ ფსიქოლოგის კონსულტაცია საჭიროების შემთხვევაში.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

-

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომში - პროგრამა) ეფუძნება უმაღლესი განათლების ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს, ისწრაფვის უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება და კვლევითი საქმიანობა, მიმართულია სტუდენტების პროფესიონალურ და პიროვნულ განვითარებასა და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ჩართვაზე, რამაც ხელი უნდა შეუწყოს დარგის განვითარებას და ქალაქის, რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ წინსვლას.

პროგრამის მიზნები არის ნათლად ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადი, ასახავს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომლებსაც მიიღებს პროგრამის კურსდამთავრებული. პროგრამა ითვალისწინებს, როგორც დარგის თავისებურებებს, იმ კომპეტენციებს, რომლებსაც უნდა ფლობდეს ეკონომიკის დოქტორი, აწსუ-ს მისიას, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმას, ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ტენდენციებს. პროგრამის მიზანია:

- ეკონომიკის ფუნდამენტური და გამოყენებითი მიმართულებით მეცნიერ-მკვლევარის მომზადება, რომელსაც ცოდნისა და კვლევის ინტეგრირებით შეეძლება ახალი ცოდნის შექმნა და წვლილის შეტანა ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში;
- ინოვაციური, მათ შორის მულტი/ინტერდისციპლინარული, კვლევებით ქვეყნის/რეგიონის მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა;
- აკადემიური საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ჩართვის უზრუნველყოფა.

პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ, საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. პროგრამის მიზნები თანმიმდევრულია, რელევანტურია და შეესაბამება კვალიფიკაციას და დოქტორანტურის საფეხურს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ეკონომიკის“ სადოქტორო პროგრამა (დანართი 1)
- აწსუ-ს მისია <https://atsu.edu.ge/index.php/mission-geo>
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა <https://atsu.edu.ge/index.php/strategic-plan-geo>
- ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის კვლევითი პროფილი <https://atsu.edu.ge/index.php/business-research-profile-geo>
- ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროფილი, <https://atsu.edu.ge/index.php/business-educational-profile-geo>
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი

<p>პრინციპების განსაზღვრის შესახებ, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 21 მაისის №32(20/21) დადგენილება https://atsu.edu.ge/index.php/acad-council-separator/akad-sabcho-dadgenilebebi?task=document.viewdoc&id=1159</p> <ul style="list-style-type: none"> ○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი (დანართი 8) ○ ანალოგიური პროგრამების კვლევა (დანართი 1)
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p>
<p>შეფასება:</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</p>
<ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა, რომლებიც დოქტორანტთა შეფასების მეთოდებსა და სისტემებთან ერთად უზრუნველყოფენ ეკონომიკის მიმართულების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მესამე საფეხურის კურსდამთავრებულის კვალიფიკაციით დასაქმებისთვის აუცილებელი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებაში მონაწილეობას იღებდნენ დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, ეკონომიკის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი. პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება დაფუძნებულია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მერვე დონის აღმწერზე და გათვალისწინებულია ანალოგიური უცხოური პროგრამების საუკეთესო პრაქტიკები. პროგრამაზე სწავლის შედეგად ეკონომიკის დოქტორი:</p> <p><u>ცოდნა და გაცნობიერება</u></p> <ol style="list-style-type: none"> 1. განსაზღვრავს ეკონომიკურ სფეროში არსებული პრობლემების კვლევის ახალ შესაძლებლობებს ეკონომიკური მეცნიერების უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით; 2. ახდენს ეკონომიკური მეცნიერებისა და პრაქტიკის თანამედროვე გამოწვევების შეფასებას ინოვაციური იდეების ჩამოყალიბების მიზნით; 3. განსაზღვრავს ეკონომიკურ მეცნიერებასთან ასოცირებულ სწავლა-სწავლების უახლეს მეთოდებს, მიდგომებსა და ტექნოლოგიებს;

უნარები

4. იყენებს ინოვაციურ მიდგომებს ეკონომიკური პრობლემების კვლევისთვის;
5. შეიმუშავებს რეკომენდაციებს ქვეყნისა და რეგიონის რთული და კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ეფექტიანი გადაჭრისათვის;
6. ახდენს არსებული ცოდნის გაფართოებასა და აკადემიურ საქმიანობაში გამოყენებას ცოდნისა და კვლევის ინტეგრირების საფუძველზე;
7. ლოგიკურად აყალიბებს და არგუმენტირებულად იცავს საკუთარ მეცნიერულ შეხედულებებს სამეცნიერო თემატურ დისკუსიებში ჩართვისას, როგორც ფართო აუდიტორიის, ისე სპეციალისტთა წინაშე, მ.შ. ინგლისურ ენაზე;
8. წარადგენს საკუთარი კვლევის შედეგებს რეფერირებად და რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში მ.შ. უცხოეთში;

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

9. დამოუკიდებლად ადგენს და ახორციელებს ეკონომიკური მეცნიერების უახლეს მიღწევებზე დაფუძნებულ და ქვეყნის/რეგიონის მდგრად განვითარებაზე მიმართულ ინოვაციურ კვლევით პროექტებს;
10. იცავს აკადემიური ეთიკის ნორმებს და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპებს.

შემუშავდა პროგრამის კურიკულუმის რუკა - პროგრამის სწავლის შედეგების სასწავლო კურსებთან შესაბამისობის რუკა. პროგრამის თითოეული შედეგის სამიზნე ნიშნულად განისაზღვრა დოქტორანტთა საერთო რაოდენობის 80%-ის მიერ სხვადასხვა აქტივობებით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 80%-ის მიღწევა. სამიზნე ნიშნულებთან დადარება მოხდება 2 წლიან დინამიკაზე მონიტორინგის საფუძველზე.

კურიკულუმის რუკის ანალიზის მიხედვით პროგრამა გადის ათ შედეგზე, კერძოდ:

პირველ შედეგზე გადის 8 სასწავლო კურსი, მათ შორის:

- გაღრმავების დონეზე - 8 სასწავლო კურსი.

მეორე შედეგზე გადის 6 სასწავლო კურსი, მათ შორის:

- გაღრმავების დონეზე - 1 სასწავლო კურსი;
- განმტკიცების დონეზე - 5 სასწავლო კურსი.

მესამე შედეგზე გადის 2 სასწავლო კურსი, მათ შორის:

- გაღრმავების დონეზე - 1 სასწავლო კურსი.
- განმტკიცების დონეზე - 1 სასწავლო კურსი.

მეოთხე შედეგზე გადის 8 სასწავლო კურსი, მათ შორის:

- გაღრმავების დონეზე - 2 სასწავლო კურსი;
- განმტკიცების დონეზე - 6 სასწავლო კურსი.

მეხუთე შედეგზე გადის 7 სასწავლო კურსი, მათ შორის:

- გაღრმავების დონეზე - 1 სასწავლო კურსი.
- განმტკიცების დონეზე - 6 სასწავლო კურსი.

მეექვსე შედეგზე გადის 9 სასწავლო კურსი, მათ შორის:

- გაღრმავების დონეზე - 1 სასწავლო კურსი.
- განმტკიცების დონეზე - 8 სასწავლო კურსი.

მეშვიდე შედეგზე გადის 8 სასწავლო კურსი, მათ შორის:

- გაღრმავების დონეზე - 2 სასწავლო კურსი.
- განმტკიცების დონეზე - 6 სასწავლო კურსი.

მერვე შედეგზე გადის 4 სასწავლო კურსი, მათ შორის:

- გაღრმავების დონეზე - 1 სასწავლო კურსი.
- განმტკიცების დონეზე - 3 სასწავლო კურსი.

მეცხრე შედეგზე გადის 4 სასწავლო კურსი, მათ შორის:

- განმტკიცების დონეზე - 4 სასწავლო კურსი.

მეათე შედეგზე გადის 8 სასწავლო კურსი, მათ შორის:

- გაღრმავების დონეზე - 1 სასწავლო კურსი.
- განმტკიცების დონეზე - 7 სასწავლო კურსი.

პროგრამის სწავლის შედეგები დაკავშირებულია იმ კომპეტენციებთან, რომლებიც უვითარდება კურსდამთავრებულს „ეკონომიკის“ სადოქტორო პროგრამაზე სწავლის პროცესში და რომლებსაც ფლობს კურსდამთავრებული სწავლის დასრულებისას, რაც მიიღწევა პროგრამაში შემავალი კომპონენტების (სასწავლო და კვლევითი) ათვისებისა და მათ ფარგლებში განვითარებული კომპეტენციების მიღების მეშვეობით.

თითოეულ სასწავლო კურსსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობის დადგენისა და დასაბუთების მიზნით მოხდა პროგრამის სწავლის შედეგებისა და თითოეული სასწავლო კურსის თითოეული კომპეტენციის ლოგიკური ურთიერთდაკავშირება. ამასთან, ცალკეულ კომპეტენციას თითოეული სასწავლო კურსი ავითარებს ამ საგნისა და კვალიფიკაციის მერვე დონის აღმწერის შესაბამისად.

სწავლის შედეგის შეფასება ხდება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდებით. პროგრამაზე სწავლის შედეგების შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების ისეთი პირდაპირი მეთოდები, როგორცაა (1) დოქტორანტის აკადემიური მოსწრების მაჩვენებელთა მონიტორინგი ანალიზი და (2) სადოქტორო ნაშრომის დაცვის და მისი შეფასების მონიტორინგი და ანალიზი.

პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლის მიზნით დოქტორანტის შეფასება ხდება ყოველკვირეული აქტივობებით და შუალედური და დასკვნითი გამოცდების მეშვეობით. შუალედური და დასკვნითი გამოცდა ტარდება ფორმალიზებული წესით. რეფერატები, სასემინარო თემები, პროსპექტუსები და კოლოქვიუმები. რეგენზენტების განხილვისა და დადებითი შეფასების მიღების შემდეგ ხდება პრეზენტაციის მეშვეობით (დოქტორანტის სემინარები და კოლოქვიუმები) სპეციალურად ჩამოყალიბებული კომისიის ან/და ეკონომიკის დეპარტამენტის წინაშე ანუ ორი ან მეტი შემფასებლის მიერ. ამასთან, დოქტორანტის ცოდნის შეფასების სისტემა (შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები) მკაფიოდ არის გაწერილი საგნის სილაბუსში. ყოველივე ეს უზრუნველყოფს დოქტორანტთა ცოდნის შეფასების გამჭვირვალობისა და საჯაროობის, სამართლიანობისა და საყოველთაოობის პრინციპების დაცვას. გარდა ამისა, გამოიყენება შეფასების არაპირდაპირი მეთოდი, რომელიც მოიცავს (1) სადოქტორო ნაშრომის დაცვის ვადების ანალიზს, (2) პუბლიკაციის რაოდენობისა და გამოქვეყნების ადგილის ანალიზს, (3) დოქტორანტთა კონფერენციებში მონაწილეობის ანალიზს, (4) დოქტორანტთა საერთაშორისო აქტივობის ანალიზს, (5) დასაქმების მაჩვენებლის და დასაქმების ადგილის (კვალიფიკაციასთან შესაბამისობის) ანალიზს.

დოქტორანტთა და კურსდამთავრებულთა პუბლიკაციების რაოდენობა, ისე, როგორც კონფერენციებში მონაწილეობა, გვიჩვენებს მათ სამეცნიერო საქმიანობის ინტენსიურობას (სამეცნიერო საქმიანობის რაოდენობრივი მხარე), ხოლო მათი შრომების გამოქვეყნების ადგილი და გამომცემლობის სტატუსი განსაზღვრავს (1), როგორც დოქტორანტთა სამეცნიერო საქმიანობის ხარისხობრივ მხარეს, ასევე (2) დოქტორანტთა ჩართულობას ინტერნაციონალიზაციის პროცესში.

კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი სისტემატურად ფასდება პერსონალურად თითოეულ კურსდამთავრებულის მიხედვით, როგორც დასაქმების ფაქტის, ასევე დასაქმების ადგილის მიხედვით.

დოქტორანტთა საერთაშორისო აქტივობის შეფასება ეხმარება დოქტორანტთა და კურსდამთავრებულთა საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ჩართულობის მონიტორინგსა და შეფასებაში. დოქტორანტთა საერთაშორისო აქტივობა მოიცავს, როგორც საერთაშორისო პროექტებში ან გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ჩართულობას (მ.შ. საერთაშორისო გამომცემლობებში პუბლიკაციების გამოქვეყნებით და საერთაშორისო კონფერენციებში/სიმპოზიუმებში და ა.შ. მონაწილეობით).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ეკონომიკის“ სადოქტორო პროგრამა (დანართი 1)
- დამსაქმებლების და 2010-2018 წლებში მოქმედი პროგრამის კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები (დანართი 8, დანართი 14)
- კურიკულუმის რუკა (დანართი 1)
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა (დანართი 1)
- ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა (პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები: პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები) (დანართი 4)
- 2010-2018 წლებში მოქმედი პროგრამის კურსდამთავრებულების აქტიურობის შედეგები (დანართი 14)

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input checked="" type="checkbox"/>			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დოქტორანტურაში მიღების წინაპირობები და ჩარიცხვის წესი განსაზღვრულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი აკადემიური საბჭოს 21 მაისი, 2021 №32(20/21) დადგენილების „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ“.

სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელი მინიმალური მოთხოვნებია:

- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი ეკონომიკაში ან ბიზნესის ადმინისტრირებაში;
- დოქტორანტურაში მიმღები კომისიის სახელზე ორი სარეკომენდაციო წერილის წარდგენა დარგის აკადემიური წრეებიდან, მ.შ. ერთი სარეკომენდაციო წერილი უნდა იყოს სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის;
- დოქტორანტურაში სწავლის სამოტივაციო წერილის წარდგენა;
- რეფერატის წარდგენა დოქტორანტობის კანდიდატის სამეცნიერო ინტერესის სფეროდან;
- ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე (გამოცდის ჩაბარება აწსუ-ში, ან ინგლისური ენის B2 ან უფრო მაღალ დონეზე ცოდნის (TOEFL, IELTS, CPE ან სხვა) დამადასტურებელ დიპლომს/სერტიფიკატს ან ინგლისურენოვან პროგრამებზე სწავლის დამადასტურებელი საბუთის წარდგენა) ინგლისურენოვან პროგრამებზე სწავლის დამადასტურებელი საბუთის წარდგენა)
- ფორმალიზებული ფორმით საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში.

დოქტორანტურაში მისაღები კონტინგენტის კანდიდატებს წარმოადგენენ ეკონომიკის და ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხის მქონე პირები, რომელთაც გააჩნია მესამე საფეხურზე სწავლის მყარი სურვილი (რაც დასტურდება დოქტორანტობის კანდიდატის სამოტივაციო წერილით) და უნარი (რაც დასტურდება დარგის აკადემიური წრეებიდან ორი რეკომენდატორის არსებობით და კანდიდატის მიერ წარდგენილი რეფერატით).

დოქტორანტურაში სწავლის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს ინგლისური ენის მაღალ დონეზე ცოდნა, რაც მოწმდება ინგლისურ ენაში დოქტორანტურაში მისაღები გამოცდის ჩაბარებით ან უცხოურ ენაში B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი დიპლომით/სერტიფიკატით (TOEFL, IELTS, CPE ან სხვა) ან ინგლისურენოვან პროგრამებზე სწავლის დამადასტურებელი საბუთით. მისაღები გამოცდა ინგლისურ ენაში ტარდება ტესტირებით. B2 დონის საერთაშორისო სერტიფიკატის ან ინგლისურენოვან პროგრამაზე სწავლის დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში დოქტორანტობის კანდიდატი თავისუფლდება უცხო ენის ჩაბარების ვალდებულებისაგან.

პროგრამაზე სწავლის თავისებურებებისა და პროგრამის ათვისებისადმი მოთხოვნებიდან

გამომდინარე, სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის კანდიდატთა მზაობა და თეორიული მომზადების დონე მოწმდება სპეციალობის განმსაზღვრელი დისციპლინების მაღალ დონეზე ცოდნით, რის გამო პროგრამაზე დაშვების კიდევ ერთი წინაპირობა ითვალისწინებს მისაღები გამოცდის ჩაბარებას სპეციალობაში.

სპეციალობაში მისაღები გამოცდა ტარდება ფორმალიზებული სახით (აწსუ-ს საგამოცდო ცენტრში წერითი ფორმით და დაშიფრული). სპეციალობის მისაღები გამოცდის ბილეთი შედგება ხუთი საკითხისგან, რომლებიც ფორმირდება წინა საფეხურზე (მაგისტრატურაში) გავლილი დისციპლინებიდან, კერძოდ: ერთი საკითხი არის მიკროეკონომიკის (მაღალი დონე) სასწავლო კურსიდან, ერთი საკითხი - მაკროეკონომიკის (მაღალი დონე) სასწავლო კურსიდან, ერთი საკითხი - თანამედროვე ეკონომიკური კონცეფციების სასწავლო კურსიდან, ერთ საკითხი - რეგიონული ეკონომიკის სასწავლო კურსიდან და ერთი საკითხი - ეკონომიკური პოლიტიკის სასწავლო კურსიდან.

დოქტორანტობის კანდიდატები ჯერ აბარებენ გამოცდას უცხოურ ენაში და შემდეგ აბარებენ გამოცდას სპეციალობაში. მისაღებ გამოცდებზე დაგროვებული საკონკურსო ქულების თანაბრობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება სპეციალობის გამოცდაში მიღებულ ქულას, ხოლო ჯამური ქულების და სპეციალობის გამოცდაში მიღებული ქულის თანაბრობის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს შესამამისი ფაკულტეტის საბჭო (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო 21 მაისი, 2021 დადგენილება №32(20/21) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ, დანართი 1 „ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიღების წესი“, პუნქტი 7.4.), და უპირატესობა ენიჭება კვლევითი აქტივობების და პუბლიკაციების მქონე, უცხოეთში სტაჟირება გავლილ, შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილების მქონე პიროვნებებს (რაც დასტურდება დოქტორანტობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილ საბუთებით).

მისაღები გამოცდების ჩაბარების გარდა პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია შიდა და გარე მობილობის წესით, რასაც არეგულირებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანება No10/5 - „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 4 ივნისის დადგენილება № 94 (17/18) „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

<https://atsu.edu.ge/index.php/acad-council-separator/akad-sabcho-dadgenilebebi?task=document.viewdoc&id=771>
შიდა და გარე მობილობის წესით ჩარიცხვა სადოქტორო პროგრამაზე დასაშვებია შემდეგი პირობებით:

- სპეციალობაში საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება;
- ინგლისურ ენაში B2 დონეზე ტესტირების გავლა ან ინგლისური ენის B2 ან უფრო მაღალ დონეზე ცოდნის დამადასტურებელი საბუთის – დიპლომის, სერტიფიკატის, ინგლისურენოვან პროგრამებზე სწავლის დოკუმენტის წარდგენა;
- დისერტაციის შესრულებული ნაწილის ან დოქტორანტობის კანდიდატის სამეცნიერო ინტერესის სფეროდან რეფერატის წარდგენა;
- ორი სარეკომენდაციო წერილის წარდგენა დარგის აკადემიური წრეებიდან დოქტორანტურაში მიმღები კომისიის სახელზე.

დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. დოქტორანტობის კანდიდატი, თუ მას ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და ქართული მისი მშობლიური ენა არ არის, წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს ((აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო 21 მაისი, 2021 დადგენილება №32(20/21) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ მუხლი 7, პუნქტი 7.5).

განაცხადი დოქტორანტურაში მიღების შესახებ, მისაღები კონტინგენტის რაოდენობაზე, ინფორმაცია საჭირო დოკუმენტების და ვადების შესახებ გამოცდების დაწყებამდე ერთი თვით ადრე თავსდება აწსუ-ს ვებ-გვერდზე. ასევე, აწსუ-ს ვებგვერდზე განთავსდება სპეციალობაში მისაღები გამოცდის საკითხები და ინგლისურ ენაში მისაღები გამოცდის ტესტების ნიმუშები.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმი-საწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ეკონომიკის“ სადოქტორო პროგრამა;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 21 მაისის დადგენილება №32(20/21) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ <https://atsu.edu.ge/index.php/acad-council-separator/akad-sabcho-dadgenilebebi?task=document.viewdoc&id=1159>
- დადგენილება № 41(18/19) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 4 ივნისის დადგენილებაში № 94 (17/18) „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/ გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ ცვლილებების შეტანის თაობაზე“. <https://atsu.edu.ge/index.php/acad-council-separator/akad-sabcho-dadgenilebebi?task=document.viewdoc&id=771>
- თვითშეფასების ანგარიში;
- უსდ-ს ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გამოცდის სირთულიდან გამომდინარე, პროგრამაზე ჩარიცხვის საშუალება მიეცეს მას, რომელსაც არ აქვს ბიზნესის ადმინისტრირების ან ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი და ასევე მიღების ზღვარი დაიწიოს 71%-დან 61%-მდე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ „აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის“, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა დაყოფილია სასწავლო და კვლევით კომპონენტად. პროგრამის სასწავლო კომპონენტი, შეადგენს 55 კრედიტს და მოიცავს სავალდებულო კურსებს - 40 კრედიტს, არჩევით კურსებს - 5 კრედიტის ოდენობით და დოქტორანტის ორ სემინარს 10 კრედიტის საერთო მოცულობით.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტით გათვალისწინებულია სამეცნიერო ნაშრომის შექმნა და სადოქტორო ნაშრომის საჯაროდ დაცვა, სამეცნიერო ნაშრომი ეკონომიკის ფუნდამენტური ან/და გამოყენებითი ხასიათის უნდა იყოს. დაცვამდე დოქტორანტმა უნდა აითვისოს პროგრამით სასწავლო კომპონენტისათვის გათვალისწინებული 55 კრედიტი, უნდა შეასრულოს 3 პროსპექტუსი და 2 კოლოკვიუმი. მონაწილეობა უნდა მიიღოს კონფერენციებში და სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნოს, ეს აქტივობა უნდა იყოს მინიმუმ სამი მ.შ. 2 - უცხოეთში, რომელთაგან ერთი მაინც Scopus, Web of Sciences ან Google Scholar და სხვა სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში და საკონფერენციო მასალებში.

დოქტორანტის დებულების თანახმად ფაკულტეტზე ფუნქციონირებს სადისერტაციო საბჭო, რომელიც არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელშიც შედის ფაკულტეტის ყველა პროფესორი და ასოცირებული პროფესორი. თუმცა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შეყვანილი იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც არ არის ფაკულტეტის წევრი. სადისერტაციო საბჭო ირჩევს თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან 3 წლით. სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს საბჭოს სხდომაზე. სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის 1/2-ზე მეტი. გადაწყვეტილების მისაღებად ტარდება ღია კენჭისყრა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციებით არ არის გათვალისწინებული სხვა პროცედურა. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს უჭერს სხდომაზე დამსწრე წევრების სულ მცირე 2/3.

სადისერტაციო საბჭო: ა) ირჩევს და აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს; ბ) ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოს მდივანს; გ) ადგენს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის კანდიდატურას და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს; დ) ადგენს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის თემას და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს; ე) უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღს; ვ) უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლებს (რეცენზენტებს); ზ) უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს სადისერტაციო კომისიის შემდგენლობას; თ) სადისერტაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს დოკუმენტს დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

გარდა სადისერტაციო საბჭოსი სპეციალურად იქმნება საექსპერტო კომისია, რომელიც ახ-

დენს ნაშრომის რეცენზირებას და სადისერტაციო კომისია, რომელიც დაცვის შემდეგ დახურულ სხდომაზე აფასებს ნაშრომს.

სსიპ „აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი“, ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეგულაციებისა და დაწესებულებაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების პროცედურის საფუძველზე.

პროგრამის შინაარსი ეფუძნება: ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოში დეტალური სფეროს აღმწერს; აწსუ-ს და ბსსმ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების რეკომენდაციებს; შიგა ექსპერტის, გარე შემფასებლების მიერ გამოთქმულ რჩევებს, 2010-2018 წლებში მოქმედი „ეკონომიკის“ სადოქტორო პროგრამის გამოცდილებას; პროგრამის დოქტორანტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგებს; შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა კვლევის შედეგებს; უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში მოქმედი ანალოგიური პროგრამების ბენჩმარკინგს და პროგრამის ხელმძღვანელის უცხოეთში მიღებულ გამოცდილებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ეკონომიკის“ სადოქტორო პროგრამა;
- „ეკონომიკის“ სადოქტორო პროგრამის სილაბუსები;
- დოქტორანტურის დებულება;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, დადგენილება №49(17/18), 9 თებერვალი, 2018 წ. და ცვლილებები დადგენილებები №39(20/21), 15.07.2021 და №8 (20/21), 8.11.2022);
- აწსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA
- დოქტორანტის ინდივიდუალური მუშაობის გეგმა (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 21 მაისის დადგენილება №32(20/21) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ.
- თვითშეფასების ანგარიში;
- უსდ-ს ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ „აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის“, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების მოცულობა 55 კრედიტია. პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი კურსებია: სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები; პროფესორის ასისტენტობა; დარგის მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდები; აკადემიური წერა დოქტორანტებისთვის; ეკონომეტრიკა (მაღალი დონე); თანამედროვე მიკროეკონომიკა: კვლევა და ანალიზი; თანამედროვე მაკროეკონომიკა: კვლევა და ანალიზი; ინსტიტუციური ეკონომიკა: კვლევა და ანალიზი; სემინარი 1 და სემინარი 2. პროგრამაში გათვალისწინებულია არჩევითი კურსები: საქართველოს ეკონომიკის პრობლემები შრომის ბაზრის ეკონომიკური თეორია; ეკონომიკური ქცევის თეორია. დოქტორანტი ირჩევს ერთ-ერთს.

მნიშვნელოვანია, რომ დოქტორანტს უფლება აქვს სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები აითვისოს, როგორც „ეკონომიკის“ სადოქტორო პროგრამის, ასევე, ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ პარტნიორი უნივერსიტეტების ანალოგიური პროგრამის დისციპლინა, რომელიც განავითარებს პროგრამით გათვალისწინებულ კომპეტენციებს. კურსი - „დარგის მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდები“ იკითხება ინგლისურ ენაზე პარტნიორი უნივერსიტეტების პროფესორ(ებ)ის მიერ. კურსები „ეკონომეტრიკა (მაღალი დონე)“ და „ინსტიტუციური ეკონომიკა: კვლევა და ანალიზი“ შემოთავაზებულია, როგორც ქართულ, ასევე, ინგლისურ ენაზე (პარტნიორი უნივერსიტეტების/გაცვლითი პროგრამების დოქტორანტებისთვის). დოქტორანტს უფლება აქვს არჩევითი სასწავლო კურსების დისციპლინები აითვისოს, როგორც „ეკონომიკის“ სადოქტორო პროგრამის, ასევე ქვეყნის შიგნით ან/და ქვეყნის გარეთ პარტნიორი უნივერსიტეტების ანალოგიური პროგრამის დისციპლინა.

ყველა სასწავლო კურსი 5 კრედიტანია და მათში გათვალისწინებულია, შუალედური და ფინალური შეფასებები. კურსები შედგენილია საქართველოს კანონმდებლობით, კერძოდ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების“ დამტკიცებული წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3; 2007.05.01). თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობა და საათების განაწილება საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობის საათებზე, სწავლის მეთოდები, ფორმები ითვალისწინებს პროგრამის მიზანსა და სწავლის შედეგებს.

ყველა საჭირო ინფორმაცია ასახულია სასწავლო კურსის სილაბუსში და ითვალისწინებს დისციპლინის სპეციფიკას, ორიენტირებულია სწავლის მიზნების მიღწევასა და კონკრეტული საგნის ფარგლებში სწავლების მესამე საფეხურისთვის შესაბამისი და სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული კონკრეტული კომპეტენციების განვითარებაზე.

პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სასწავლო

ლიტერატურა ეფუძნება დარგის თანამედროვე მიღწევებს.
 სავალდებულო სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია დარგის სპეციფიკა, რომ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. ასევე, სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- „ეკონომიკის“ სადოქტორო პროგრამა;
 - სასწავლო კურსების სილაბუსები;
 - „ეკონომიკის“ სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა;
 - კურიკულუმის რუკის ანალიზი;
 - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, დადგენილება №49(17/18), 9 თებერვალი, 2018 წ. <https://atsu.edu.ge/index.php/acad-council-separator/akad-sabcho-dadgenilebebi/2017-2018?start=40> და ცვლილებები დადგენილებები №39(20/21), 15.07.2021 და №8 (20/21), 8.11.2022;
 - თვითშეფასების ანგარიში;
 - დოქტორანტურის დებულება;
 - უსდ-ს ვებგვერდი;
 - ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:
-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-

- შეფასება:**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ „აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის“ პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას სხვადასხვა კომპონენტების მეშვეობით.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია სადოქტორო ნაშრომის მომზადება და დაცვა. ამ პერიოდში დოქტორანტი ახდენს შემდეგი კომპონენტების შესრულებას: დოქტორანტის პროსპექტუსი I, დოქტორანტის პროსპექტუსი II, დოქტორანტის

პროსპექტუსი III, დოქტორანტის I კოლოქვიუმი, დოქტორანტის II კოლოქვიუმი, კვლევის შედეგების პუბლიკაცია და კონფერენციებში მონაწილეობა, სადოქტორო ნაშრომის წინასწარი განხილვა და სადოქტორო ნაშრომის საჯარო განხილვა.

თითოეული კომპონენტის შესრულების ინსტრუქციით და მოთხოვნებით დასტურდება სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება. მაგალითად დოქტორანტურის დებულებაში წერია: სადისერტაციო ნაშრომი უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული (ემპირიული) კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს, რომელსაც წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში. თუ დოქტორანტი კვლევით ჯგუფშია ჩართული, ნათლად უნდა ჩანდეს მისი წვლილი.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებული უნდა იქნეს დაცვამდე, არანაკლებ სამი სამეცნიერო ნაშრომის სახით რეცენზირებად ჟურნალებში. რეცენზირებადი ჟურნალების ნუსხას ადგენს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო. ნაშრომთაგან ორმა მაინც უნდა გაიაროს საერთაშორისო რეცენზირება. საჭიროების შემთხვევაში სამეცნიერო ნაშრომზე შეიძლება დაინიშნოს ანონიმი რეცენზენტი საექსპერტო კომისიის მოთხოვნით.

ამავე დებულებით გათვალისწინებულია საექსპერტო კომისიის შექმნა. სადისერტაციო საბჭო დისერტაციის წინასწარ განსახილველად უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს საექსპერტო კომისიას არაუმეტეს 3 წევრის შემადგენლობით, რომელსაც ევალება: ა) სადისერტაციო ნაშრომის და ავტორეფერატის შესაბამისობის დადგენა სადისერტაციო საბჭოს მოთხოვნებთან; ბ) სადისერტაციო ნაშრომის საჯაროდ განხილვის უზრუნველყოფა საექსპერტო კომისიაში შეიძლება შევიდეს სადისერტაციო თემის შესაბამისი დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი კვლევები სადისერტაციო თემის მიმართულებით. სადისერტაციო ნაშრომის განხილვა ტარდება საექსპერტო კომისიის მიერ განსაზღვრულ სამეცნიერო სემინარზე აწსუ-ში ან პარტნიორ სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულებაში. საექსპერტო კომისიის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში დისერტანტს ეძლევა უფლება 6 თვის ვადაში ხელახლა წარადგინოს დისერტაციის შესწორებული ვარიანტი.

ასევე, დოქტორანტურის დებულების თანახმად, გათვალისწინებულია სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი შეფასება. საექსპერტო კომისიის დადებითი დასკვნის შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან და დეკანთან შეთანხმების შემდეგ უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს ორ ან სამ შემფასებელს (რეცენზენტს), რომელთაც ეგზავნებათ დისერტაცია და ავტორეფერატი. შემფასებლები სადისერტაციო საბჭოს წარუდგენენ სადისერტაციო ნაშრომის წერილობით შეფასებას (რეცენზიას) ნაშრომის მიღებიდან არა უგვიანეს 2 თვისა. შემფასებლად (რეცენზენტად) ინიშნება სადისერტაციო ნაშრომის თემატიკის შესაბამისი მიმართულების დოქტორის აკადემიური ხარისხის (ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის) მქონე პირი, რომელიც აკმაყოფილებს ერთ-ერთს მაინც შემდეგი პირობებიდან: არის ავტორიზებული უნივერსიტეტის პროფესორი; არის ავტორიზებული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და ფლობს მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხს; არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი; არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი და ფლობს მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხს; არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი ან წევრ-კორესპოდენტი; არის საზღვარგარეთის მაღალრეიტინგული უნივერსიტეტის პროფესორი; და არის ავტორიზებული უნივერსიტეტის ემერიტუსი. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს არგუმენტირებული მოთხოვნის საფუძველზე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს

გადაწყვეტილებით სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთ რეცენზენტად (შემფასებლად) შეიძლება დაინიშნოს სხვა უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ან ამ უნივერსიტეტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (აკადემიური დოქტორი), რომელსაც სადისერტაციო ნაშრომის მიმართულებით ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 3 ნაშრომი მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში. შემფასებელი არ შეიძლება იყოს დისერტანტის მიერ შესრულებულ ნაშრომთა თანაავტორი, იმ სამეცნიერო ჯგუფის წევრი, სადაც შესრულდა სადოქტორო პროგრამა, აგრეთვე იმ ქვედანაყოფის წევრი, სადაც მუშაობს დისერტანტი ან დისერტანტზე თანამდებობრივად დამოკიდებული პირი. მნიშვნელოვანია, რომ რეცენზია სადისერტაციო ნაშრომის შეფასებასთან ერთად უნდა შეიცავდეს შესაბამის რეკომენდაციას ნაშრომის დაცვაზე დაშვების, ან შესასწორებლად დოქტორანტისათვის უკან დაბრუნების, ანდა დაცვაზე უარის თქმის შესახებ.

თუ შემფასებელთა ნახევარზე მეტი უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, დისერტაცია დაცვაზე დაშვებული არ იქნება. ორი შემფასებელიდან ერთის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო 10 დღის ვადაში გამოყოფს მესამე შემფასებელს. შემფასებლებმა თავიანთი წერილობითი დასკვნა უნდა წარმოადგინონ დისერტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 2 თვისა. მესამე შემფასებლის დანიშვნის შემთხვევაში მას ნაშრომის შეფასებისათვის ეძლევა 1 თვე.

თუ დისერტაცია არ იქნება დაშვებული დაცვაზე, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტს უფლება ეძლევა დამატებით იმუშაოს დისერტაციაზე და ხელახლა წარუდგინოს საბჭოს 1 წლის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში დოქტორანტი დაცვაზე აღარ დაიშვება. თუ დისერტაცია არ იქნება დაშვებული დაცვაზე, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტს უფლება ეძლევა დამატებით იმუშაოს დისერტაციაზე და ხელახლა წარუდგინოს საბჭოს 1 წლის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში დოქტორანტი დაცვაზე აღარ დაიშვება. შესწორებული ნაშრომის ისევ უარყოფითად შეფასების შემთხვევაში დოქტორანტის ნაშრომი არ მიიღება დასაცავად.

სადოქტორო დებულების თანახმად ყველა პროცედურების გავლის შემდეგ იქმნება სადისერტაციო კომისია. რეცენზენტების მიერ სადისერტაციო ნაშრომის დასაცავად დაშვების შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან და დეკანთან კონსულტაციით სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წარმართვის მიზნით ქმნის სადისერტაციო კომისიას და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის ვიზირების შემდეგ გამოიცემა ავტორეფერატი და ეგზავნება სადისერტაციო საბჭოს დებულებით განსაზღვრულ ადრესატებს. სადისერტაციო კომისია იქმნება მინიმუმ 6 და მაქსიმუმ 12 პირის შემადგენლობით, რომელთაც აქვთ ხმის მიცემის უფლება. სადისერტაციო კომისია უფლებამოსილია გაეცნოს სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებით შემოსულ წერილობით გამოხმაურებებს. სადისერტაციო კომისიის წევრად არჩეული უნდა იქნას შესაბამისი დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხის (ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის) მქონე სპეციალისტი. კომისიის წევრთა არანაკლებ 2/3 უნდა აკმაყოფილებდეს ერთ-ერთს მაინც მე-20 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილ პირობებს შორის. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია კომისიის წევრთა არანაკლებ 1/2 აკმაყოფილებდეს ერთ-ერთს მაინც მე-20 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილ პირობებს შორის. სამეცნიერო ხელმძღვანელი და შემფასებლები (რეცენზენტები) კომისიის მუშაობაში მონაწილეობენ სათათბირო ხმის უფლებით. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნან დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე დარგის სპეციალისტებიც, რომლებიც არ არიან ფაკულტეტის სადი-

სერთაციო საბჭოს წევრები. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობის არანაკლებ 1/3 უნდა იქნეს სადისერტაციო საბჭოს წევრი. იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მიზეზების გამო ზემოაღნიშნული პრინციპებით სადისერტაციო კომისიის დაკომპლექტება შეუძლებელია, საკითხს შექმნილი გარემოებების გათვალისწინებით წყვეტს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან და კვლევითი დაწესებულებებიდან მოწვეული არანაკლებ ორი პირი, რომლებიც არ არიან ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრები. სადისერტაციო კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, რომელიც შეიძლება იყოს პირი, რომელიც აკმაყოფილებს მე-20 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილ პირობებს შორის ერთ-ერთს მაინც. თავმჯდომარე არ შეიძლება იყოს სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი. სადისერტაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილად ითვლება, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს კომისიის შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა. დოქტორანტი სადისერტაციო კომისიის დამტკიცების შემდეგ ერთი კვირის ვადაში უზრუნველყოფს კომისიის თითოეულ წევრს სადისერტაციო ნაშრომით და ავტორფერატით.

დოქტორანტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის სასწავლო კურსებში წარმოდგენილია სხვადასხვა კომპონენტები მაგალითად რეფერტის მომზადება და პრეზენტაცია, დოქტორანტურის სემინარი და სხვ. მაგალითად კურსის პროფესორის ასისტენტობა - ემსახურება დოქტორანტების პრაქტიკული სამეცნიერო-პედაგოგიური უნარ-ჩვევების განვითარებას, დარგში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაღრმავებასა და განმტკიცებას, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო საქმიანობის სამართლებრივი აგების გაგებას, უმაღლესი სკოლის პედაგოგისათვის აუცილებელი პედაგოგიური ოსტატობის თავისებურებების ათვისებას, სწავლების და ცოდნის შემოწმება-შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენებას და სხვ.

წარმოდგენილი მტკიცებულების შესაბამისად და ადგილზე ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო შესაბამისი რწმუნება, რომ პროგრამა უზრუნველყოფს, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ეკონომიკის“ სადოქტორო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- „ეკონომიკის“ სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა;
- კურიკულუმის რუკის ანალიზი;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, დადგენილება №49(17/18), 9 თებერვალი, 2018 წ. <https://atsu.edu.ge/index.php/acad-council-separator/akad-sabcho-dadgenilebebi/2017-2018?start=40> და ცვლილებები დადგენილებები №39(20/21), 15.07.2021 და №8 (20/21), 8.11.2022;
- თვითშეფასების ანგარიში;
- დოქტორანტურის დებულება;
- უსდ-ს ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)

შეფასება:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ „აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის“ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებულ შედეგების მიღწევას.

პროგრამაში გათვალისწინებული სწავლების ფორმებია: ლექცია, ჯგუფში მუშაობა, დოქტორანტის სემინარი, დოქტორანტის პროსპექტუსი და კოლოქვიუმი, პროფესორის ასისტენტობა, დამოუკიდებელი მუშაობა, რეფერატი, კონსულტაცია, სადოქტორო ნაშრომი. ხოლო სწავლების მეთოდები: აქტიური თვითსწავლების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, საუბარი, ვენის დიაგრამა, აკვარიუმი, აზრობრივი რუქა. ინდუქცია-დედუქციის მეთოდი, ანალიზის და სინთეზის მეთოდი, ვერბალური მეთოდი, თანამშრომლობითი სწავლება, პრაქტიკული მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, გონებრივი იერიში, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობითი მეთოდი, პრობლემის დასმა, პროვოცირება, ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური, ელექტრონული) სწავლების მეთოდი.

პროგრამაში სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია დოქტორატზე. ყოველი კურსისთვის ინდივიდუალურადაა სწავლების ფორმები და ფორმები შერჩეული.

ინტერვიუს საფუძველზე ასევე დადასტურდა, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი ადეკვატურად იყენებს სწავლების ფორმებსა და მეთოდებს, ამასთანავე სტუდენტები კმაყოფილი არიან პროფესორ-მასწავლებლების მიერ გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ადგილზე ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით, რომლებიც შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ეკონომიკის“ სადოქტორო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- „ეკონომიკის“ სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა;
- კურიკულუმის რუკის ანალიზი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- დოქტორანტურის დებულება;
- უსდ-ს ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
-
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება:
<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2016 წლის 18 აგვისტოს №102/5 ბრძანებებისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 სექტემბრის №5(17/18) „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 21 მაისის №32(20/21) „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ“ დადგენილების შესაბამისად.</p> <p>პროგრამის სასწავლო კომპონენტების ფარგლებში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური შეფასებისთვის განკუთვნილია 60 ქულა (აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში 30 ქულა, შუალედური გამოცდა არანაკლებ 30 ქულა), ხოლო დასკვნითი შეფასებისთვის - 40 ქულა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ენიჭება სტუდენტს თუ სემესტრის განმავლობაში დაგროვებული ქულების რაოდენობა არანაკლებია 24-ზე. დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარი განსაზღვრულია 17 ქულით.</p> <p>სასწავლო კომპონენტში შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას: (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფით შეფასებას: (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. უნივერსიტეტი ვალდებულია დანიშნოს დამატებითი გამოცდა დასკვნითი გა-</p>

მოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში (აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება პროსპექტუსის, კოლოქვიუმის და დისერტაციის მიმართ). დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დოქტორანტთა შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე და საჯარო, იგი განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე, ასევე წარმოდგენილია, როგორც პროგრამის კურიკულუმში, ისე სილაბუსებში. თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას.

დოქტორანტის კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული აქტივობები, როგორცაა პროსპექტუსი და კოლოქვიუმის შესრულების წესი, ასევე მათი შეფასების სისტემა დეტალურადაა მოცემული „პროსპექტუსის და კოლოქვიუმის შესრულების გზამკვლევი“-ში და სტუდენტს სწავლის დასაწყისშივე პირველ სემესტრში მიეწოდება ინფორმაცია მოცემულ საკითხზე. დოქტორანტის მიერ შესრულებული კვლევითი მუშაობის ხარისხი ფასდება სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ ხუთი წევრის შემადგენლობით. სადისერტაციო ნაშრომების დაცვა ხდება უსდ-ში არსებული სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცედურების მიხედვით კომისიური წესით. სადისერტაციო კომისიის მინიმალურ წევრთა რაოდენობა განსაზღვრულია 6-ით ხოლო მაქსიმალური 12 პროფესორით. აღნიშნულის შემადგენლობაში შედიან, როგორც ადგილობრივი ისე სხვა უსდ-ს შესაბამისი დარგის დოქტორის ხარისხის მქონე პირები. დისერტაციის დაცვა ხდება საჯაროდ და მოიცავს შემდეგ აქტივობებს: დოქტორანტის მოხსენება (არა უმეტეს 30 წუთისა); რეცენზიების საჯაროდ წაკითხვა შემფასებლების მიერ; სამეცნიერო დისკუსია; სადისერტაციო კომისიის დახურული სხდომა - სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად; სადისერტაციო ნაშრომის შეფასების გამოცხადება. სადისერტაციო საბჭოსა და სადისერტაციო კომისიის უფლება-მოვალეობებს არეგულირებს „დადგენილება №32(20/21) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ“.

სადისერტაციო ნაშრომი ფასდება სადისერტაციო კომისიის მიერ დახურულ სხდომაზე სამეცნიერო დისკუსიის დასრულების შემდეგ. დისერტაციისა და დაცვის შეფასებების საფუძველზე სადისერტაციო კომისია ღებულობს საბოლოო შეფასებას, რომელიც წარმოდგენილია შემდეგი სისტემით: ა) ფრიადი (summa cum laude) - შესანიშნავი ნაშრომი; ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება; გ) კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება; დ) საშუალო (bene) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს; ე) დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს; ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficiens) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს; ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს. დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუსა და წარმოდგენილ დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შეფასება სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი და გამჭვირვალეა, ასევე, ისინი დროულად ღებულობენ ინფორმაციას შეფასებების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში სწრაფია რეაგირება პედაგოგისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხრიდან.

დაწესებულების ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებიდან ირკვევა რომ დაწესებულება იყენებს პლაგიატის ამოსაცნობ სისტემას და სავალდებულო მოთხოვნაა სადოქტორო ნაშრომების შესამოწმებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“;
- ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- აწსუ-ის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის დებულება;
- აწსუ-ის დოქტორანტურის დებულება;
- „ეკონომიკის“ სადოქტორო პროგრამა: პროსპექტუსის და კოლოქვიუმის შესრულების გზამკვლევი;
- აკადემიური საბჭოს დადგენილება №46 (20/21);
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ გვერდი www.atsu.edu.ge
- ინტერვიუს შედეგები (უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, დოქტორანტებთან, კურსდამთავრებულებთან).

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	<input checked="" type="checkbox"/>			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას, ასევე, მათ აქვთ კარიერულ განვითარებასთან მიმართებით მხარდაჭერა.

მითითებულ საკითხებს დაწესებულებაში ძირითადად არეგულირებს „უნივერსიტეტის შინაგანაწესი“ და „სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის დებულება“. არსებული ინფორმაცია არის საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტისა თუ ფაკულტეტის მნიშვნელოვანი დებულებები, წესები და რეგულაციები განთავსებულია დაწესებულების ოფიციალურ ვებ გვერდზე. დაწესებულებაში დანერგილი ციფრული სიტემები საშუალებას აძლევს სტუდენტებს მიიღონ დროული და ადეკვატური ინფორმაცია საკუთარ მიღწევებთან, სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, ასევე დაამყარონ კომუნიკაცია ლექტორთან, ადმინისტრაციასთან, იხილონ აკადემიური ჯგუფის ცხრილი, აკადემიური კალენდარი და სხვა. დადებითი ფაქტია, რომ დაწესებულების კამპუსებში განთავსებულია ინოვაციური თვითმომსახურების ელექტრონული აპარატები, რისი საშუალებითაც სტუდენტებს საშუალება ეძლევათ, როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური სახით დაწერონ განცხადება და გააგზავნონ სასურველ ადმინისტრაციულ ერთეულთან. დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას. დოკუმენტაციის შესწავლითა და ინტერვიუებით დადასტურდა, რომ სტუდენტები, ასევე კურსდამთავრებულები აქტიურად იღებენ მონაწილეობას საგნის ლექტორებს, სასწავლო კურსებს, საგამოცდო პროცესებსა და ადმინისტრაციის მუშაობის შეფასებაში უნივერსიტეტის მიერ მიწოდებული კითხვარების შევსების საფუძველზე. არსებულის მიზანია აკადემიური მიღწევების გაუმჯობესება.

საბიბლიოთეკო სიტემა მეტად მოქნილია და მორგებულია სტუდენტთა მოთხოვნებზე. წიგნადი ფონდი წარმოდგენილია, როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. დაწესებულების მფლობელობაშია მრავალი ისტორიული ხელნაწერი წიგნი, რომელთა დახარისხება და კვლევა მიმდინარეობს ეტაპობრივად. საკითხავი სივრცეები აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით, გარდა ამისა, სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ კომპიუტერული ლაბორატორიებით, რაც უზრუნველყოფს გამოცდების პერიოდში გაზრდილი მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას. დოქტორანტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ დაწესებულების ბიბლიოთეკის ფარგლებში არსებული ელექტრონული სამეცნიერო ბაზებით, კატალოგებით, გარდა ამისა ბმულების სახით მიეწოდებათ ტრენინგ/ ვებინარები, სადაც განხილულია არსებული ინსტრუმენტების გამოყენების ინსტრუქცია და სამეცნიერო სტატიებისთვის გამოსაქვეყნებელი ჟურნალების შერჩევა-შეფასების მეთოდები. ინტერვიუების დროს სტუდენტები, ასევე კურსდამთავრებულები დადებითად აფასებდნენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობას. ისინი, შეუფერხებლად ღებულობენ კონსულტაციებს მათთვის საჭირო თემებზე ადმინისტრაციის წარმომადგენლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალისგან, რისი ორგანიზებაც ძირითადად ელ. ფოსტის საშუალებით ხორციელდება.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური, რომლის მთავარ მოვალეობას წარმოადგენს სტუდენტთა განცხადებების დახარისხება/ორგანიზება, ასევე მათი კარიერული განვითარების ხელშეწყობა. ამავე შექმნილია კურსდამთავრებულთა ქსელი, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს კურსდამთავრებულებთან. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებს საშუალება აქვთ საჭიროების შემთხვევაში ისარგებლონ უსდ-ში არსებული ფსიქოლოგის კონსულტაციით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ინტერვიუების მეშვეობით დადასტურდა, რომ უსდ ცდილობს ხელი შეუწყოს სტუდენტების მრავალმხრივ განვითარებას, მათი შესაძლებლობების წარმოჩენასა და სოციალურ/კულტურულ აქტივობას, როგორც უნივერსიტეტში ასევე მის ფარგლებს გარეთ. აწსუ ახორციელებს სტუდენტთა მოთხოვნებზე ორიენტირებულ ღონისძიებებს სხვადასხვა მიმართულებით კერძოდ: სპორტის, კულტურის და სხვა აქტივობები: ტრენინგ-სემინარები, საჯარო ლექცია-სემინარები, დისკუსიები. დოქტორანტებს გარდა ზემოაღნიშნულისა საშუალება ეძლევათ დაესწრონ სხვა დისერტანტების კვლევის საჯარო განხილვას, აგრეთვე პედაგოგიური გამოცდილების გაზიარების მიზნით მოუსმინონ ეკონომიკის დეპარტამენტის წამყვანი ლექტორების ლექციებს.

დოქტორანტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო პროექტებში, ჩაერთონ გაცვლით პროგრამაში და სხვადასხვა სახის სამეცნიერო აქტივობებში, კონფერენციებში, კვლევებში. დოქტორანტებს, აგრეთვე შეუძლიათ განახორციელონ პროექტის ინიცირება ან მონაწილეობა მიიღონ ერთობლივ პროექტებში აწსუ-ს პარტნიორ უნივერსიტეტთან. აღნიშნული დადასტურდა ინტერვიუებითა და მიღებული დოკუმენტების შესწავლით.

დაწესებულება სტუდენტებთან კავშირის დასამყარებლად იყენებს სხვადასხვა საშუალებებს, კერძოდ, საინფორმაციო დაფებს, ელექტრონულ მეილებს, ვებ-გვერდს, სოციალურ ქსელებს. სასურველია დოქტორანტებისთვის მნიშვნელოვან აქტივობებზე, საერთაშორისო პროექტებზე, კონფერენციებზე ინფორმაციის გავრცელების არხებს დაუმატოს სხვა საკომუნიკაციო საშუალებებიც ან არსებობის შემთხვევაში გაზარდოს მისი გამოყენების ინტენსივობა (მაგ. მოკლე ტექსტური შეტყობინებები და სხვა).

ინტერვიუების მიმდინარეობისას დადასტურდა, რომ სტუდენტებს აქვთ ინფორმაცია გასაჩივრებისა და სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ, რაზეც უნივერსიტეტი რეაგირებას დროულად და ადეკვატურად ახდენს. დადებითია ის ფაქტიც, რომ მათ საშუალება აქვთ სხვადასხვა სახის განცხადება დაწერონ, როგორც დამოუკიდებლად თვითმომსახურების ტერმინალის საშუალებით და ელექტრონულად, ისე ფაკულტეტზე შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“;
- ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- აწსუ-ის უნივერსიტეტის შინაგანაწესი <https://www.atsu.edu.ge/index.php/regulations-geo>
- აწსუ-ის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის დებულება;
- აწსუ-ის დოქტორანტურის დებულება;
- აწსუ-ის ეთიკის კოდექსი;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები;
- ხელშეკრულებები/მემორანდუმები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- აწსუ-ს მატერიალური ბაზის დათვალიერება;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ გვერდი www.atsu.edu.ge
- აწსუ-ის ელექტრონული ბიბლიოთეკა <https://library.atsu.edu.ge/ge/home>
- სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემა <http://moodle.atsu.edu.ge/>
- ყოფილი დოქტორანტთა გამოკითხვები;
- აკ. პერსონალის, მოწვეული ლექტორების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების გამოკითხვის ფორმები;
- ინტერვიუს შედეგები (ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან).

რეკომენდაციები:

-
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
-
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
<ul style="list-style-type: none"> ○ საუკეთესო პრაქტიკად მიგვაჩნია უსდ-ში დანერგილი და განთავსებული განცხადებებისთვის განკუთვნილი თვითმომსახურების ტერმინალები. ○ საუკეთესო პრაქტიკად მიგვაჩნია უსდ-ს მიერ სტუდენტებისთვის მიცემული შესაძლებლობა ისარგებლონ ფსიქოლოგის კონსულტაციით საჭიროების შემთხვევაში.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება:
<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები, რომელთაც აქვთ საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. დოქტორანტების ხელმძღვანელების უფლება-მოვალეობები მკაცრად არის განსაზღვრული და არეგულირებს „დოქტორანტურის დებულება“. დოქტორანტს ხელმძღვანელი რეგულარულად უწევს კონსულტაციებს, რაც წარმოდგენილია ხელმძღვანელის დატვირთვაში. სამეცნიერო ხელმძღვანელი სტუდენტთან ერთად ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გემას, სადაც ასახულია კვლევის მიზანი, სადისერტაციო თემის მოკლე აღწერა, სასწავლო კომპონენტის შესრულების და კვლევის სავარაუდო გრაფიკი.</p> <p>დოქტორანტთან შეხვედრები და კონსულტირება მოიცავს ყველა იმ აუცილებელ ასპექტს, რაც მეტად მნიშვნელოვანია სადისერტაციო ნაშრომის შესრულებასა და დაცვისთვის, მათ შორის: კვლევის სავარაუდო გეგმის ჩამოყალიბება, დისერტაციის წერის პროცესის ხელშეწყობა, ნაშრომის ირგვლივ სავალდებულო სამეცნიერო სტატიების მომზადებაში ხელშეწყობა და მისი რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნება, აგრეთვე ლიტერატურის შესახებ რჩევების მიცემა, კვლევის შედეგების პუბლიკაციის პროცესში დახმარება და ა.შ. სადოქტორო ნაშრომის დაცვისათვის აუცილებელი წინაპირობები, წესები, დეტალურად არის გაწერილი და არეგულირებს „ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულება“. წარმოდგენილი დაცული დისერტაციების შესწავლით დადგინდა, რომ ისინი აკმაყოფილებენ სამეცნიერო მოთხოვნებს.</p> <p>მოწოდებული დოკუმენტაციის ანალიზითა და ინტერვიუების მეშვეობით დადგინდა, რომ მომიჯნავე სფეროში სტუდენტები სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას იღებენ სათანადო კონსულტაციას ხელმძღვანელისაგან. დოქტორანტის ხელმძღვანელების კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.</p>
მტკიცებულებები/ინდიკატორები
<ul style="list-style-type: none"> ○ ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“;

<ul style="list-style-type: none"> ○ სილაბუსები; ○ ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულება; ○ დოქტორანტურის დებულება; ○ წარმოდგენილი დაცული სადისერტაციო ნაშრომები; ○ პროგრამის შიდა და გარე ექსპერტიზის დასკვნები; ○ აკადემიური, მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, CV-ები და ხელშეკრულებების ნიმუშები; ○ ინტერვიუს შედეგები (პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან).
რეკომენდაციები:
-
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
-
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება: <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	<input checked="" type="checkbox"/>			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი <ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამოუმუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➤ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების

ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ „აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის“ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის პირები, რაც დასტურდება წარმოდგენილი ბიოგრაფიული მონაცემებით და გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით. მათ ასევე აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. ამ საკითხების ეფექტურად მართვისათვის დაწესებულებას აქვს შემუშავებული მარეგულირებელი დადგენილება: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 21 მაისის №32 (20/21) დადგენილება „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ“. ამ დადგენილების 2.4. პუნქტის თანახმად, სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებს: უნივერსიტეტის სრული ან ასოცირებული პროფესორი, პარტნიორი სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულების მეცნიერი; სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი აკადემიური პერსონალი. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა რეგულირდება და დატვირთვა. უნივერსიტეტის მიერ 2019 წლის 10 ივლისის აკადემიური საბჭოს №65 (18/19) დადგენილებით (<https://atsu.edu.ge/index.php/acad-council-separator/akad-sabcho-dadgenilebebi?task=document.viewdoc&id=818>)

დაწესებულებაში ამასთანავე მოქმედებს აკადემიური პერსონალის კონკურსით შერჩევის წესი, რომლის საფუძველზე, კონკურსი ცხადდება საჯაროდ და ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, დაწესებულების ყველა აკადემიური პერსონალი არჩეულია აღნიშნული წესით.

ადგილზე ჩატარებული ინტერვიუებით და წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. პროგრამას ახორციელებს ადგილობრივი აკადემიური პერსონალი, შესაბამისად აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის ხელმძღვანელი არის მეცნიერი, რომელსაც მიღებული აქვს ეკონომიკის დოქტორის (ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ეკონომიკის დოქტორის) ხარისხი საქართველოში და ეკონომიკის დოქტორის ხარისხი ტომას ბატას უნივერსიტეტში ზლინში, ჩეხეთი. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს სადოქტორო საფეხურის პროგრამის ხელმძღვანელობის გამოცდილება და კომპეტენცია. შესაბამისად მას გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში. პროგრამაში ჩართულია 10 აკადემიური და 3 მოწვეული პროფესორი, ასევე პროგრამას ემსახურება 6 ადმინისტრაციული პერსონალი.

კურსდამთავრებულებისა და მონათესავე სპეციალობებზე არსებული დოქტორანტების ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის სტუდენტები, დაწესებულების მიერ

უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. აღნიშნულიდან გამომდინარე ადამიანური რესურსი შეესაბამება პროგრამის განხორციელების სპეციფიკას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ეკონომიკის“ სადოქტორო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ეკონომიკის” სადოქტორო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის CV;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 10 ივლისის № 65(18/19) დადგენილება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ნორმების დამტკიცების შესახება <https://atsu.edu.ge/index.php/acad-council-separator/akad-sabcho-dadgenilebebi?task=document.viewdoc&id=818>
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, N01-04/18 ბრძანება 26.02.2021 „უნივერსიტეტში დოქტორანტურის მიმართულებით ფაკულტეტის ადმინისტრაციებისათვის უფლება-მოვალეობების გადაცემის შესახებ“ <https://atsu.edu.ge/index.php/universitetis-reqtori/orders?task=document.viewdoc&id=1111>
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსში გამარჯვებული საგრანტო პროექტის შესახებ. რექტორის ბრძანება N 01.04/35. 16 04.2921წ. <https://atsu.edu.ge/index.php/universitetis-reqtori/orders?task=document.viewdoc&id=1137>
- თვითშეფასების ანგარიში;
- უსდ-ს ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ „აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის“ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე უსდ მუდმივად ზრუნავს. ზოგადად ეკონომიკის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი, აქტიურად მონაწილეობს სწავლა-სწავლებისა და კვლევის ხარის-

ხის ამადლებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში დოქტორატზე ორიენტირებული საუკეთესო სერვისის შეთავაზებას.

უნივერსიტეტის საკადრო პოლიტიკის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია პერსონალის შეფასება, რომლის საფუძველზე ხდება უნივერსიტეტის თითოეული თანამშრომლის საკუთარი ფუნქციების ეფექტიანად განხორციელება და პროფესიულ განვითარების ხელშეწყობა. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესაფასებლად გამოიყენება, წინასწარი ინდივიდუალური დატვირთვით განსაზღვრული სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური საქმიანობის შეფასება. მასთანავე, აკადემიური პერსონალის სასწავლო-მეთოდურ მუშაობას ამოწმებს ფაკულტეტის დეკანატი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, რექტორის მოადგილე. თითოეული პერსონალი ამზადებს სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური საქმიანობის წლიურ ანგარიშს. აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის, ხელშეკრულებითა და საათობრივად მოწვეული სპეციალისტების ინდივიდუალური დატვირთვით განსაზღვრული სამუშაოს შესრულების ანგარიში განიხილება დეპარტამენტის სხდომებზე და წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად. უსდ-ს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური სასწავლო წლის ბოლოს აღრიცხავს და განიხილავს აკადემიური პერსონალის სასწავლო წლის მანძილზე სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური წლიური დატვირთვის შესრულების შედეგებს. დაწესებულებაში მუდმივად ხდება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემების (CV) შექმნა-განახლება.

დაწესებულების და ბსსმ-ს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და პროგრამის ხელმძღვანელთან ხდება პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება, მათი პროფესიული განვითარებისა და დოქტორანტთა შეფასების საფუძველზე.

დაწესებულების მისიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის საფუძველზე, დგინდება, რომ აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვაა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია უნივერსიტეტისთვის. ამ მიზნით შემუშავებულია სხვადასხვა სისტემები. პერსონალის შეფასების მექანიზმების გამოყენების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ხდება უნივერსიტეტში პერსონალის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით და ადმინისტრირებით. პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის უსდ იყენებს შემდეგ სერვისებს: ტრენინგებზე და სამეცნიერო კონფერენციებზე მივლინება; აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაგეგმილი ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები; აწსუ-ს ანაზღაურებადი სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულება; უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ შეთავაზებული ტრენინგ მოდულები და დაწესებულების სამეცნიერო კონფერენციების სერვისები.

უნივერსიტეტის და ბსსმ-ის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელშეწყობით ხორციელდება პერსონალის დატრენინგება, შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის მეშვეობით აქტუალური საკვლევითი პრობლემების შესწავლის დაფინანსება, კონფერენციებში მონაწილეობის ხელშეწყობა, იმფაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების ხარჯების დაფარვა.

აღნიშნული აქტივობებისა და საქმიანობების საფუძველზე უსდ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალი ინტენსიურად არიან ჩართული საერთაშორისო თუ ადგილობრივ კვლევებში და შესაბამისად უსდ-ს სახელით გამოქვეყნებულია სხვადასხვა მეცნიერული

ნაშრომები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები <ul style="list-style-type: none"> ○ აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემები (CV) ○ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა EP-QA 1.2 ○ ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა. დანართი 4- EP-QA 1.2 ○ აწსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურები ○ პერსონალის საქმიანობის შეფასება ○ სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება N193 „სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შიდა საუნივერსიტეტო გრანტის დებულების დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 26 ივნისი. ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ უსდ-ს ვებგვერდი; ○ გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები:
-
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
-
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება: <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
<p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სსიპ „აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი“ მდიდარია ისეთი სახის რესურსებით, რომელიც საჭიროა ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის განხორციელებისათვის.</p> <p>პროგრამისთვის ცალკეა გამოყოფილი აუდიტორიები და ინდივიდუალური და ჯგუფური სამუშაო ოთახები. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქუთაისი, 4600, თამარ მეფის ქ., № 59, უნივერსიტეტის 22-ე კორპუსი. თუმცა ასევე ფუნციონირებს ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი, რომელიც აერთიანებს ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისათვის ყველა ძირითად ინფორმაციას. ბიბლიოთეკას აქვს, ელექტრონული კატალოგი, ელექტრონული დაჯავშნა, ელექტრონული რესურსები, ბიბლიოთეკათმორისი სერვისი, წიგნების ელექტრონული შეკვეთა და სხვა. ელექტრონული კატალოგი (http://atsu.library.ac.ge) შექმნილია ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო სისტემის (ILS-Integrated Library System) საფუძველზე.</p> <p>ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს შეუზღუდავ წვდომას შემდეგ ელექტრონულ ბაზებზე:</p>

- Web of Science - <http://apps.webofknowledge.com>
- Royal Society Publishing - <http://royalsocietypublishing.org>
- Scopus - <http://www.scopus.com>
- Elgar online - <http://www.elgaronline.com>
- Cambridge University Press - <https://www.cambridge.org>
- Journals | Royal Society - <https://royalsociety.org/journals/>
- NEJM Journal - <https://www.nejm.org/>
- SAGE Journals - <https://journals.sagepub.com/>
- JSTOR - <https://www.jstor.org/>
- Online Research Database - <http://web.a.ebscohost.com/ehost/search/selectdb?vid=0&sid=1000da5d-b99e-4f65-8d4c-5fb60124a949%40sessionmgr4006>
- BioOne - <https://bioone.org/>
- IMF eLibrary - <https://www.elibrary.imf.org>
- Duke University Press - <https://www.dukeupress.edu/>
- OpenEdition - <https://www.openedition.org>

დაწესებულებას აქვს სამეცნიერო რეცენზირებადი/რეფერირებადი ჟურნალი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე ISSN 2233-3711, რომლის შემდგომი განვითარება და საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ჩართვა იგეგმება. დაწესებულებაში ასევე არის შემდეგი რესურსები პროგრამაში ჩართული სტუდენტებისთვის:

- დოქტორანტების და მაგისტრანტების კლასტერი;
- დოქტორანტების და მაგისტრანტების სამუშაო ოთახი;
- აწსუ-ს კომპიუტერული ცენტრის აუდიტორიები;
- “ეკონომიკის” სადოქტორო პროგრამის განმახორციელებელი დეპარტამენტში არსებული სალიტერატურო ფონდი და სხვ.;

წარმოდგენილი დოკუმენტაციით, მატერიალური და ტექნიკური რესურსების ადგილზე დათვალირებით და ინტერვიუების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო საკმარისი რწმუნება იმისა, რომ სსიპ „აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტს“ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის განხორციელებისას, პროგრამა უზრუნველყოფილი იქნება აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აწსუ სასწავლო კორპუსები;
- აწსუ-ს ბიბლიოთეკა;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომის დამადასტურებელი დოკუმენტაცია <https://library.atsu.edu/ge/#>
- თვითშეფასების ანგარიში;
- უსდ-ს ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-
<p>შეფასება:</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ „აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი“ ბიუჯეტის დაგეგმვას ახორციელებს დაწესებულების ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახური, რომელსაც ამ მიზნით შემუშავებული აქვს ყოველწლიური ხარჯის გაანგარიშების სპეციალური ელექტრონული ფორმა.

„ეკონომიკის“ სადოქტორო პროგრამის ხარჯებში გათვალისწინებულია: სხვადასხვა პირდაპირი ხარჯები, რომელიც უშუალოდ წარმოიქმნება ამ პროგრამის განხორციელებისას 7 დოქტორატზე. ასევე შემოსავლებში გათვალისწინებულია მხოლოდ დოქტორანტების სწავლის ქირა 7 სტუდენტის შემთხვევაში, რაც პროგრამას ნაკლებად მდგარად წარმოაჩენს. თუმცა, ცნობილია რომ სადოქტორო პროგრამებს ზოგადად აქვს ე.წ. სოციალური უკუგება ინვესტიციებზე (SROI) ანუ ზოგადად პროგრამას გავლენა აქვს ფაკულტეტის შედეგების გაუმჯობესებაზე კვლევებისა და განვითარების მიმართულებით და პროგრამის არსებობა უზრუნველყოფს საბაკალავრო და სამაგისტრო კვლევების უფრო ეფექტიანობას, ეფექტურობას და ეკონომიურობას. საბოლოოდ სადოქტორო კვლევების საფუძველზე წარმოებული გამოქვეყნებები ზრდის უნივერსიტეტის რეიტინგსა და სამეცნიერო ცნობადობას. ამ ყოველივეს გათვალისწინებით სასურველია ბიუჯეტის შედგენისას, არაპირდაპირი შემოსავლების წილი ასახული იყოს, მაგალითად დაახლოებით 2-3% ბაკალავრების და მაგისტრატურის პროგრამების შემოსავლებიდან. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბსმ-ის ფაკულტეტს ამჟამად ყავს დაახლოებით 3000 სტუდენტი. სოციალური უკუგება ინვესტიციებზე მინიმუმ 135 000 ლარის შემოსავლებით შესაძლებელია შეფასდეს ყოველწლიურად, აღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ბიუჯეტი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უსდ-ს ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის მდგრადობის უკეთ წარმოსაჩენად, შეიმუშავეთ სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტის ფორმირების პოლიტიკა და პროცედურები, სადაც გაითვალისწინებთ პროგრამის სოციალური უკუგება ინვესტიციებზე (SROI) და შემოსავლებში გარდა სწავლის ქირისა გათვალისწინებული იქნება ფაკულტეტის მთლიანი შემოსავლის პროცენტული წილი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	<input checked="" type="checkbox"/>			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი მიდგომებისა და მექანიზმების ძირითად მარეგულირებელ დოკუმენტს წარმოადგენს „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“, რომლის თანახმად, დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის სისტემა ეფუძნება 3 ძირითად პოლიტიკას:

- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA;
- კვლევის განვითარების პოლიტიკა - RE-QA (ეფუძნება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების ფაზებს. შეფასების ასპექტები: აკადემიური პერსონალის სასწავლო-სამეცნიერო დატვირთვით განსაზღვრული სამუშაოები; გარე სამეცნიერო ფონდებით დაფინანსებული კვლევა; შიდა დაფინანსებით მიმდინარე სამეცნიერო კვლევა; სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებით მიმდინარე კვლევები; სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობაში ჩართულობა);
- მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა - ME-QA. ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში არსებული პოლიტიკების, პროცედურების და გამოყენებული ფორმების ურთიერთკავშირს ასახავს პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის დანართად წარმოდ-

გენილი დოკუმენტი „პოლიტიკა, პროცესები, დანართები“.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის უნივერსალურ ინსტრუმენტად მიიჩნევა თვითშეფასებისა და ანგარიშგების პროცედურა, რომელიც გამოიყენება სწავლა-სწავლების, კვლევისა და მართვის მუდმივი გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. კვლევითი საქმიანობის ხარისხის და პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმად მიიჩნევა „სწავლებისა და კვლევის ინტეგრაცია“, რომლის რაოდენობრივი ინდიკატორებია:

- საერთაშორისო სამეცნიერო კვლევაში ჩართული სტუდენტი, მაგისტრანტი, დოქტორანტი (ხარისხობრივი ინდიკატორები: ერთობლივი სტატია სტუდენტის მონაწილეობით; კონფერენციაზე/სემინარზე მოხსენება სტუდენტის ავტორობით),
- სადოქტორო დისერტაცია (ხარისხობრივი ინდიკატორები: სამეცნიერო სტატია).

ზემოთ მითითებული დოკუმენტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში - პროგრამა) შემთხვევაში, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (EP-QA) ხორციელდება 3 პროცედურის მეშვეობით:

- პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა (EP-QA 1.1) - ადგენს ახალი პროგრამის ინიცირების, შემუშავებისა და დამტკიცების წესებს, ძირითად მოთხოვნებს, პროცედურის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებს და სხვ. მისი დანართებია - საგანმანათლებლო პროგრამის იდეის აპლიკაციის ფორმა; საკვანძო პარამეტრებისა და რესურსების შესაბამისობის ფორმა; კურიკულუმის ფორმა; პროგრამის სასწავლო გეგმის ფორმა; სილაბუსის ფორმა. ამავე დოკუმენტის დანართია „უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია“ (4-EP-QA 1.1), რომელიც არეგულირებს შემდეგ საკითხებს: 1. კურიკულუმის სტრუქტურა; 2. პროგრამის სახელწოდება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია; 3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით; 4. სწავლების ენა; 5. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა; 6. პროგრამის ანალოგები; 6. პროგრამის მიზანი; 8. სწავლის შედეგი; 9. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები; 10. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა; 11. სასწავლო გეგმა; 12. სასწავლო კურსის სილაბუსის სტრუქტურა; 13. ადამიანური რესურსები და სხვ. ამ დოკუმენტთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი: მიზანშეწონილია დაკორექტირდეს არსებული ჩანაწერი - „2.7. მესამე საფეხურის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს „დოქტორი“, მიმართულების და/ან დარგის სპეციალობის მითითებით“. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის განმარტებით, დოკუმენტების გაგზავნისას დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი (იყო გამოგზავნილი რეგულაციის ძველი ვერსია). ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ აკადემიური საბჭოს დადგენილებით (15.07.2021) ცვლილებები განხორციელდა „უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციაში, სადაც ტერმინოლოგიური შეუსაბამოები გასწორებულია და ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა რეგულაციის დღეისათვის მოქმედი (განახლებული) ვერსია. ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა ეს გარემოება, რადგან ვიზიტის პერიოდში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი შემუშავებულია დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტამდე.
- პროგრამის შეფასების პროცედურა (EP-QA 1.2) - აღწერს პროგრამის შეფასებისათვის აუცილებელ აქტივობებს/ღონისძიებებს, ასევე შეფასებისათვის გამოყენებულ სხვადასხვა ინდიკატორებს და კრიტერიუმებს. მიღებული შეფასება გამოიყენება მოქმედი პროგრამების განახლებისა და განვითარებისათვის, ასევე მუდმივად ცვალებად გარემოსთან მათი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;
- მოქმედი პროგრამის განვითარების პროცედურა (EP-QA 1.3) - განსაზღვრავს მოქმედი

პროგრამის განვითარებისათვის აუცილებელ ღონისძიებებს, მათი განხორციელების გზებსა და პასუხისმგებელ პირებს, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და ამ ცვლილებების დამტკიცების სამუშაოებს.

დაწესებულებაში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირების დოკუმენტი“ (EP-QA 1.1) განსაზღვრავს პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული პროცედურებს, წესებს, ეტაპებს (ფაზებს) და ვადებს, ამ პროცესში ჩართულ პირებს და სხვ. ინტერვიუში მონაწილე პირებმა (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა, თვითშეფასების ჯგუფის წევრებმა, პროგრამის ხელმძღვანელმა, ფაკულტეტის დეკანმა) აღნიშნეს, რომ ამ დოკუმენტის მოთხოვნათა შესაბამისად შეიქმნა პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი, რის შემდეგ ჯგუფის წევრებს შორის განაწილდა ფუნქციები (აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით), განისაზღვრა სამუშაო ეტაპები და სავარაუდო ვადები.

თვითშეფასების ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს, რომ ჩატარდა 20-ზე მეტი სამუშაო შეხვედრა, რა დროსაც განიხილებოდა, როგორც შესრულებული სამუშაო, ისე პროგრამისთვის მნიშვნელოვანი საკითხები, მათ შორის პროგრამის შესაბამის სფეროში შრომის და განათლების ბაზარზე არსებული ტენდენციები. სამუშაო პროცესში განხორციელდა დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია და მათი მოსაზრებების შესწავლა, ასევე, შესწავლილ იქნა შრომის ბაზრის მოთხოვნები, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობები, ანალოგიურ პროგრამებთან დადარების შედეგები, პროგრამის რესურსებით უზრუნველყოფის (ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსი), წინა პერიოდში (2019-2018) პროგრამის განხორციელების შედეგები, მათ შორის პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების, კვლევითი აქტივობების და სხვ. საკითხები. ასევე, სამუშაო პროცესში განისაზღვრა პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის მიზნები და შედეგები, ჩამოყალიბდა პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი, განხორციელდა პროგრამის შიდა საუნივერსიტეტო ექსპერტიზა და გარე შეფასება დამოუკიდებელი დარგის სპეციალისტების მიერ, რაც დასტურდება თვითშეფასების ანგარიშის დანართად წარმოდგენილი მასალებით.

თვითშეფასების ჯგუფის წევრებმა და პროგრამის განმახორციელებლებმა აღნიშნეს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან მიიღეს სათანადო მხარდაჭერა და კონსულტირება სხვადასხვა საკითხებზე, რამაც ხელი შეუწყო ჯგუფის ეფექტიან მუშაობას. ასევე, სხვადასხვა ჯგუფებთან ინტერვიუს შედეგად, გამოიკვეთა, როგორც პროგრამის შემუშავების, ისე დაწესებულებაში მიმდინარე სხვა პროცესში უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების აქტიური ჩართულობა და მათი წამყვანი როლი.

ინტერვიუში მონაწილე ყველა პირი აღნიშნავდა, რომ პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს მისი შინაარსი, რაც ხელს შეუწყობს კვლევების აქტუალობას და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებას. დამსაქმებლებმა, ასევე აღნიშნეს, რომ პროგრამა სფეროსთვის მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

დასრულებული პროგრამის პროექტი, დადგენილი პროცედურების გავლის შემდეგ, გადაეცა განსახილველად და დასამტკიცებლად ფაკულტეტის საბჭოს (ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი №11, 09. 03.2021), შემდეგ კი აკადემიურ საბჭოს, რომელმაც განიხილა და დაამტკიცა პროგრამა (აკადემიური საბჭოს დადგენილება №46 (20/21), 21.07.2021).

წარმოდგენილი დოკუმენტების და ინფორმაციის შესწავლის, ასევე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

- დაწესებულებაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა უზრუნველყოფს პროცესებისადმი კომპლექსურ მიდგომას, პროცესების დოკუმენტირებისა და სხვადა-

სხვა პერიოდში მიღებულ შედეგებზე დაკვირვებისა და დადარების შესაძლებლობა. (დასტურდება დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის/მართვის მარეგულირებელი დოკუმენტებით);

- პროგრამის შემუშავება განხორციელდა კოლეგიალურად, სამუშაო ჯგუფის და დაინტერესებული მხრების ჩართულობით, დაწესებულებაში მოქმედი პროცედურების დაცვით. (დასტურდება როგორც დოკუმენტურად, ისე ინტერვიუს შედეგებით);
- პროგრამის შემუშავების პროცესი მოიცავდა პროგრამისთვის მნიშვნელოვანი ასპექტის, დაინტერესებული მხარეების მოლოდინების შესწავლას, საუკეთესო პრაქტიკების გაზიარების მიზნით ანალოგიურ პროგრამებთან შედარებას და პროგრამის გარე შეფასებას დამოუკიდებელი დარგის სპეციალისტების მიერ. (დასტურდება დოკუმენტურად და ინტერვიუს შედეგებით);
- შემუშავებული და ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი №9, 21.01.2021) დამტკიცებულია „ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა“, რომელიც განსაზღვრავს როგორც პროგრამის შესაფების პირდაპირ მეთოდებს (მათ შორის, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები და სამიზნე ნიშნულები), ისე არაპირდაპირ მეთოდებს (მათ შორის, სტუდენტების თვითშეფასება), დამსაქმებლების მიერ შეფასება და სხვ).

ასევე, აღსანიშნავია:

- პროგრამის შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მაღალი ხარისხი, მათი მხრიდან პროგრამის მხარდაჭერა და დადებითი შეფასება;
- პროგრამის განმახორციელებლების სათანადო ინფორმირება დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის, მექანიზმების და პროცედურების შესახებ და შეფასების შედეგების ხელმისაწვდომობა (დასტურდება ინტერვიუს შედეგებით),
- დაწესებულებაში მიმდინარე სხვა პროცესში უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების აქტიური ჩართულობა და მათი წამყვანი როლი;
- პროგრამის განვითარების მკაფიო ხედვის არსებობა, რაზეც დეტალურად ისაუბრეს ფაკულტეტის დეკანმა, პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებელმა აკადემიურმა პერსონალმა. მათ აღნიშნეს, რომ მომავალში გაძლიერდება საერთაშორისო პარტნიორობთან და დამსაქმებლებთან აქტიური თანამშრომლობა, რაც მნიშვნელოვანია პროგრამის შემდგომი განვითარებისა და წარმატებისთვის. ასევე გასათვალისწინებელია ინტერვიუს დროს დამსაქმებლების მიერ დაფიქსირებული პროგრამის განვითარების მხარდაჭერის და ამ პროცესში ჩართულობის სურვილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“;
- საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა (EP-QA 1.1) - საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირების დოკუმენტი (EP-QA 1.1) და დანართები - საგანმანათლებლო პროგრამის იდეის აპლიკაციის ფორმა (1-EP-QA 1.1.); საკვანძო პარამეტრებისა და რესურსების შესაბამისობის ფორმა (3-EP-QA 1.1); კურიკულუმის ფორმა (4.1-EP-QA 1.1); პროგრამის სასწავლო გეგმის ფორმა (4.2-EP-QA 1.1); სილაბუსის ფორმა (4.3-EP-QA 1.1); უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია (4-EP-QA 1.1);
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა (EP-QA 1.1) და დანართები - ინფორმაცია კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ (1-EP-QA 1.2); ინფორმაცია პროგრამაში ჩართული პირების (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული) განვითარების შესახებ (2-EP-QA 1.2); ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების შესახებ (3-EP-QA 1.2); ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა (4-EP-QA 1.2);
- მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა (EP-QA 1.3);

- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა-EP-QA;
- კვლევის განვითარების პოლიტიკა (RE-QA);
- თვითშეფასებისა და ანგარიშების პროცედურა (ME-QA-3.1) და დანართები - საგანმანათლებლო პროგრამის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიში (1-ME-QA-3.1); დეპარტამენტის წლიური ანგარიში (2-ME-QA-3.1); ფაკულტეტის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიში (3-ME-QA-3.1); სამსახურების წლიური ანგარიში (4-ME-QA-3.1);
- მართვის ეფექტიანობის შეფასების პროცედურა (ME-QA-3.2);
- „ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა“;
- პროგრამის კურიკულუმი; პროგრამის კურიკულუმის რუკა; პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; კურიკულუმის რუკის ანალიზი;
- შრომისა და განათლების ბაზრის კვლევა (ეკონომიკა);
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების კვლევა;
- ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია და ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობები;
- გაცვლითი პროგრამები და პარტნიორი უნივერსიტეტები;
- საერთაშორისო ხელშეკრულებები და მემორანდუმები
- პროგრამის ანალოგების ანალიზი;
- დასაქმების ბაზრის კვლევა;
- „ეკონომიკის“ სადოქტორო პროგრამის შესრულებაში ჩართული აკადემიური პერსონალის გამოკითხვა;
- სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობის მაჩვენებელი;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;
- კურსდამთავრებულთა შეფასების მაჩვენებელი;
- დოქტორანტთა გამოკითხვების ანალიზი (2014, 2016, 2017, 2018);
- დოქტორანტების კონფერენციებში მონაწილეობა (2009-2018);
- დოქტორანტების პუბლიკაციები რეფერირებად ჟურნალებში (2009 - 2018);
- დოქტორანტების საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა (2014-2017);
- პროგრამის შიდა საუნივერსიტეტო ექსპერტიზა;
- გარე კოლეგიალური შეფასება;
- გარე ექსპერტიზის დასკვნა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:
-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-

შეფასება:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
დაწესებულებაში არსებული რეგულაციების თანახმად, პროგრამის ხარისხის ერთ-ერთ მე-

ქანიზმს წარმოადგენს გარე შეფასება. აკრედიტაციაზე წარმოდგენილი პროგრამა ახალია და მის გარე შეფასებას ასახავს 2 დოკუმენტი: 1. გარე კოლეგიალური შეფასება და 2. დასკვნა ეკონომიკის სადოქტორო პროგრამაზე. ორივე შემთხვევაში პროგრამა შეაფასეს დამოუკიდებელმა დარგის სპეციალისტებმა (საქართველოს უსდ-ების პროფესორებმა). მათ მიერ აღნიშნულია პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე შემუშავებულია რეკომენდაციები და რჩევები პროგრამის განვითარებისთვის, რაც დასტურდება შემფასებლების ოფიციალური წერილებით. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, შემფასებლებს გაეგზავნათ სრული ინფორმაცია პროგრამის შესახებ და მათ შეეძლოთ ემსჯელათ პროგრამის ყველა ასპექტზე. ასევე, პროგრამა განიხილეს და დადებითად შეაფასეს პოტენციურმა დამსაქმებლებმა: ინტერვიუში მონაწილე პირებმა აღნიშნეს, რომ პროგრამა თავისი შინაარსით, მიზნებითა და შედეგებით შეესაბამება დარგში არსებულ მოთხოვნას, არის აქტუალური და იმსახურებს დადებით შეფასებას. ამ მოსაზრებას იზიარებენ პროგრამის კურსდამთავრებულებიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გარე კოლეგიალური შეფასება;
- გარე ექსპერტიზის დასკვნა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს როგორც საქართველოს უსდ-ს, ისე უცხოეთის უსდ-ს - პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენლ(ებ)ის მიერ, რაც ხელს შეუწყობს თანამედროვე ტენდენციების და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდა მთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამა ახალია. ამ ეტაპზე შეიძლება მოხდეს დაწესებულებაში მოქმედი პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების პროცესის აღწერა და პროგრამის შემუშავების ეტაპისთვის განსაზღვრული მექანიზმების გამოყენების ფაქტის დადასტურება, კერძოდ:

- დაწესებულებაში მოქმედი წესების თანახმად, პროგრამის შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის საფუძველზე დადგენილი შეფასების პროცედურის

რების გამოყენებით. მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და შეფასების პროცესი რეგულირდება მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურით, რომელიც გამოიყენება როგორც პროგრამების შეფასებისათვის, ისე მოქმედი პროგრამების განახლებისა და განვითარებისათვის. ამავე დოკუმენტით განისაზღვრება პროცედურის ეტაპები (ფაზები) და მათი დასრულების ვადები. პროგრამის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებებს/ცვლილებებს განსაზღვრავს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც თანამშრომლობს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, რომელიც ხელმძღვანელობს პროგრამის შეფასების შედეგებით, რაზეც დაყრდნობით მტკიცდება საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების/ცვლილებების კონკრეტული ჩამონათვალი. ძირითადი დაინტერესებული პირების (სტუდენტი, პროგრამის განმახორციელებლები, დამსაქმებელი, კურსდამთავრებული) გამოკითხვების ჩატარებაზე პასუხისმგებელია პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც, ასევე, ადგენს კითხვარებს, შეისწავლის გამოკითხვის შედეგებს და ანალიზს უგზავნის პროგრამის ხელმძღვანელს და შესაბამის დეპარტამენტს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს სხვადასხვა წლებში მოქმედი პროგრამის შეფასების სხვადასხვა მექანიზმების გამოყენების ფაქტს;

- პროგრამის შემუშავების პროცესი წარმართა დაწესებულებაში დადგენილი წესების შესაბამისად და მოიცვა ყველა ის გარემოება, რომლებიც დაწესებულების მიერ აქტუალურად მიაჩნია პროგრამის შემუშავებისა და განვითარების ეტაპზე. მათ შორის, აკრედიტაციაზე წარმოდგენილი პროგრამის შემუშავების პროცესში განხორციელდა პროგრამის როგორც შიდა, ისე გარე შეფასება. ასევე, საუკეთესო პრაქტიკების გაზიარების მიზნით შესწავლილ იქნა ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა მსოფლიოს უნივერსიტეტში, მათ შორის შესწავლილ იქნა ამ პროგრამების შინაარსი (განმსაზღვრელი სასწავლო კურსები), ჩარიცხვის წინაპირობები, პროგრამების ხანგრძლივობა, ამ პროგრამების კურსდამთავრებულთა კომპეტენციები, მათი კარიერული შესაძლებლობები და სხვ. ასევე, შესწავლილ იქნა ეკონომიკის სადოქტორო პროგრამები საქართველოში.

გასათვალისწინებელია, რომ ამ ეტაპზე პროგრამა არ ხორციელდება და ობიექტური გარემოებების გამო ვერ იქნებოდა გამოყენებული დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრული მექანიზმების მნიშვნელოვანი ნაწილი, კერძოდ:

- ვერ იქნებოდა გამოყენებული ისეთი მექანიზმები, როგორცაა, მაგ.: დოქტორანტების აკადემიური მოსწრების მონაცემების სემესტრული ანალიზი, სამეცნიერო კომპონენტის გეგმის მიხედვით შესრულების ყოველსემესტრული შემოწმება, დოქტორანტების კმაყოფილების კვლევა სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის და პროგრამის კომპონენტების მიზნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სასწავლო კურსის განმახორციელებლების გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების ანალიზი და სხვ.
- ვერ განხორციელდებოდა, როგორც პროგრამის პერიოდული შეფასება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ისე შეფასების შედეგების სისტემური გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. ასევე, ვერ იქნებოდა გამოყენებული პროგრამის ხარისხის მონიტორინგის მექანიზმების ეტაპობრივი განვითარება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების განმარტებით, პროგრამის ამოქმედების შემდგომ იქნება გაყენებული დაწესებულებაში „მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურები (EP-QA 1.3)“, როგორც ეს ხდება სხვა მოქმედი პროგრამის შემთხვევაში.

შეჯამების სახით აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში არსებული ხარისხის მართვის სის-

ტემა, დადგენილი პროცედურებისა და მექანიზმების გამოყენება უზრუნველყოფს პროგრამის, როგორც კომპლექსურ შეფასებას, ისე განვითარების მიზნით შეფასების შედეგების გამოყენების შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“;
- საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა (EP-QA 1.1) - საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირების დოკუმენტი (EP-QA 1.1) და დანართები - საგანმანათლებლო პროგრამის იდეის აპლიკაციის ფორმა (1-EP-QA 1.1.); საკვანძო პარამეტრებისა და რესურსების შესაბამისობის ფორმა (3-EP-QA 1.1); კურიკულუმის ფორმა (4.1-EP-QA 1.1); პროგრამის სასწავლო გეგმის ფორმა (4.2-EP-QA 1.1); სილაბუსის ფორმა (4.3-EP-QA 1.1); უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია (4-EP-QA 1.1);
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა (EP-QA 1.1) და დანართები - ინფორმაცია კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ (1-EP-QA 1.2); ინფორმაცია პროგრამაში ჩართული პირების (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული) განვითარების შესახებ (2-EP-QA 1.2); ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების შესახებ (3-EP-QA 1.2); ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა (4-EP-QA 1.2);
- მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა (EP-QA 1.3);
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა-EP-QA;
- კვლევის განვითარების პოლიტიკა (RE-QA);
- თვითშეფასებისა და ანგარიშგების პროცედურა (ME-QA-3.1) და დანართები - საგანმანათლებლო პროგრამის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიში (1-ME-QA-3.1); დეპარტამენტის წლიური ანგარიში (2-ME-QA-3.1); ფაკულტეტის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიში (3-ME-QA-3.1); სამსახურების წლიური ანგარიში (4-ME-QA-3.1);
- მართვის ეფექტიანობის შეფასების პროცედურა (ME-QA-3.2);
- „ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა“;
- დასაქმების ბაზრის კვლევა;
- „ეკონომიკის“ სადოქტორო პროგრამის შესრულებაში ჩართული აკადემიური პერსონალის გამოკითხვა;
- სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობის მაჩვენებელი;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;
- კურსდამთავრებულთა შეფასების მაჩვენებელი;
- დოქტორანტთა გამოკითხვების ანალიზი (2014, 2016, 2017, 2018);
- დოქტორანტების კონფერენციებში მონაწილეობა (2009-2018);
- დოქტორანტების პუბლიკაციები რეფერირებად ჟურნალებში (2009 - 2018);
- დოქტორანტების საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა (2014-2017);
- პროგრამის შიდა საუნივერსიტეტი ექსპერტიზა;
- პროგრამის ანალოგების ანალიზი;
- გარე კოლეგიალური შეფასება;
- გარე ექსპერტიზის დასკვნა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	<input checked="" type="checkbox"/>			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

„ეკონომიკა“. დოქტორანტურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 44


პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

მანანა ლობჯანიძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ეკა გეგეშიძე



სახელი, გვარი, ხელმოწერა

თამარ გვიანიშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა

ეკატერინე მიქელაძე



სახელი, გვარი, ხელმოწერა

ზურაბ ჯანხოთელი

